სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №38

ქ. თბილისი **2011 წლის 17 ოქტომბერი**

სხდომას ესწრებოდა წარმომადგენლობითი საბჭოს 33 წევრი: 1. გაგნიძე ინეზა 2. თოდუა ნუგზარი 3. მექვაბიშვილი ელგუჯა 4. კარტოზია გიორგი 5. მესხორაძე გიორგი 6. ჩაბაკური გიორგი 7. მარგველიშვილი ვლადიმერი 8. ფაღავა ზურაბი 9. ცინცაძე ნინო 10. თურქიაშვილი შორენა 11. შამილიშვილი მანანა 12. წერეთელი მარი 13. ჩოხელი ლევანი 14. ბახტაძე მიხეილი 15. ბრაჭული ირაკლი 16. გელოვანი ნანი 17. ლორია კახაბერი 18. პაიჭაძე თამარი 19. ახლოური ბექა 20. ზივზივაძე ვახტანგი 21. ჯღამაძე უჩა 22. გეგეჭკორი არნოლდი 23. თუთბერიძე ბეჟანი 24. ომანაძე როლანდი 25 ხაჩიძე მანანა 26. კერესელიძე დავითი 27. გუბაძე ვასილი 28. ჭლიკაძე გივი 29. კახიანი გიორგი 30. ბენდელიანი ბექა 31. პაპაშვილი თამარი 32. ჭალიძე ივერი 33. გაიპარაშვილი ზურაბი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. ქურდაძე რამაზი 2. დავითაშვილი ზურაბი 3. გერსამია მარიამი 4. ნადარაია ელიზბარი 5. სურგულაძე ნუგზარი 6. მარშავა ქეთევანი 7. მანაგაძე ლავრენტი (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის საკითხი.

2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცება.

3. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 10 ოქტომბრის №109/2011 დადგენილება სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერ-

თეულის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის შექმნის შესახებ დამტკიცება.

4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ცენტრის დებულების დამტკიცება.

5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტში უძრავი ქონების ნაწილის (60 კვ/მ.) 5 წლის ვადით, იჯარის წესით, დროებით სარგებლობაში გაცემის საკითხი.

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში შესატანი ცვლილებების პროექტი.

ბატონმა არჩილ კუკულავამ განაცხადა, რომ ცვლილებები შედის თსუ-ს საგამოცდო ცენტრისა და შიდა აუდიტის სამსახურის სტრუქტურაში. ცვლილებები თავად ამ სტრუქტურული ერთეულების მიერ იყო ინიცირებული.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 33

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ცვლილებები სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში. (დანართი 3)

2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსმა, ბატონმა შოთა ჭანტურიძემ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო შიდა აუდიტის სამსახურის დებულების პროექტი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დებულებაში ასახულია თსუ-ის ადმინისტრაციის სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებები.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 33

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება: 1. დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა აუდიტის დებულება. (დანართი 4) 2. ახლადდამტკიცებული დებულების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწვეტილებით დამტკიცებული შიდა აუდიტის მოქმედი დებულება.

3. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, ბატონმა ირაკლი ბურდულმა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 10 ოქტომბრის №109/2011 დადგენილება სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის შექმნის შესახებ.

ბატონმა ირაკლი ბურდულმა წარმომადგენლობით საბჭოს მოახსენა, რომ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ცენტრის შექმნა განაპირობა აშშ-ის მთავრობის პროექტის ფარგლებში თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მიერ სხვა სუბიექტებთან ერთად მოპოვებულმა გრანტმა. გრანტის განხორციელება ითვალისწინებს სპეციალური საუნივერსიტეტო სტრუქტურული ერთეულის

შექმნას, რომელიც ორიენტირებული იქნება დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ინსტიტუტის საქართველოში დამკვიდრებისა და პოპულარიზაციისკენ, ასევე ამ სფეროში სასწავლო დისციპლინის შექმნისა და შემდგომი განვითარებისკენ. აღნიშნულ ცენტრს არ ექნება მხოლოდ საუნივერსიტეტო მნიშვნელობა, იგი საქართველოს მასშტაბით უპრეცედენტოა და მნიშვნელოვან როლს ითამაშებს მედიაციის ინსტიტუტის განვითარებაში.

აკადემიური საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ქეთევან მარშავამ აღნიშნა, რომ მსგავსი ცენტრის არსებობა უნივერსიტეტის ბაზაზე უნივერსიტეტისათვის ძალზედ პრესტიჟულია და იგი მიესალმება გადაწყვეტილებას მისი შექმნის შესახებ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 33

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 10 ოქტომბრის №109/2011 დადგენილება სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის შექმნის შესახებ (დანართი 5)

4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, ბატონმა ირაკლი ბურდულმა წარმომადგენლობითი საბჭოს წარუდგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ცენტრის დებულების პროექტი.

ბატონმა ირაკლი ბურდულმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი დებულების პროექტი ადგენს ცენტრის სტრუქტურას, აწესრიგებს მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს. მასში გათვალისწინებულია იმ პარტნიორი

უნივერსიტეტებისა და ორგანიზაციების მოსაზრებები, რომლებიც აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის შექმნაში.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 33

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტის საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის დებულება (დანართი 6).

5. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტში უძრავი ქონების ნაწილის (60 კვ.მ.) 5 წლის ვადით, იჯარის წესით, დროებით სარგებლობაში გაცემის საკითხი.

ბატონმა არჩილ კუკულავამ განაცხადა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე შესაძლებელია ავტოსამრეცხაოს განთავსება, რომელიც თუ სამომავლოდ კანონმდებლობა მოგვცემს საშუალებას, შესაძლებელია მოემსახუროს თსუ-ის ავტოპარკს შეღავათიანი პირობებით.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ბატონი არნოლდ გეგეჭკორი დაინტერესდა, თუ რამდენი ხნის განმავლობაში გაგრძელდება შემოერთებული ინსტიტუტების ქონებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება, რაზეც ბატონმა არჩილ კუკულავამ განაცხადა, რომ ეტაპობრივად მიმდინარეობს ქონების ზუსტი აღრიცხვა და ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც გამოთავისუფლებული ფართების გამოყენება ხდება შესაძლებელი, მათ შორის მათი იჯარის წესით დროებით სარგებლობაში გაცემა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 33

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის უძრავი ქონების (ავტოსამრეცხაოსათვის მოწყობილი ფართი 60 კვადრატული მეტრი (უნივერსიტეტის ქუჩის მხრიდან) 5 წლის ვადით, იჯარის წესით დროებით სარგებლობაში გაცემის მიზნით.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კ. ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს

ხელმძღვანელი (უფროსი) დ. გეგენავა

თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა (თსუ, 17 ოქტომბერი, 2011წ.)

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გაგნიძე ინეზა
- თოდუა ნუგზარი
- მექვაბიშვილი ელგუჯა

სტუდენტები:

- კარტოზია გიორგი
- მესხორაძე გიორგი
- ჩაბაკაური გიორგი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გალდავა გიორგი
- მარგველიშვილი ვლადიმერი
- ფადავა ზურაბი

სტუდენტები:

- ცინცაძე ნინო

სოციალურ პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- თურქიაშვილი შორენა
- მაცაბერიძე მალხაზი
- შამილიშვილი მანანა
- წერეთელი მარი

სტუდენტები:

- ნახუცრიშვილი კონსტანტინე
- ჩოხელი ლევანი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ბარამიძე ცირა
- ბახტაძე მიხეილი
- ბრაჭული ირაკლი
- გელოვანი ნანი
- ლიჩელი ვახტანგი
- ლორია კახაბერი
- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ახლოური ბექა
- ზივზივაძე ვახტანგი
- ჯღამაძე უჩა

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გეგეჭკორი არნოლდი
- ელიაშვილი მერაბი
- თუთბერიძე ბეჟანი
- ომანაძე როლანდი
- ხაჩიძე მანანა
- კერესელიძე დავითი

სტუდენტები:

- გუბაძე ვასილი
- ჭლიკაძე გივი

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- კახიანი გიორგი
- კვერენჩხილაძე გიორგი

სტუდენტები:

- ბენდელიანი ბექა
- პაპაშვილი თამარი
- ჭალიძე ივერი

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- ზურაბ გაიპარაშვილი

თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე (17. 10. 11)
დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია:

- ალექსანდრე კვიტაშვილი (რექტორი)
- ნანი გაფრინდაშვილი
- რამაზ ქურდაძე
- ზურაბ დავითაშვილი
- მარიამ გერსამია
- ალექსანდრე შენგელაია
- ელიზბარ ნადარაია
- მაია კოპალეიშვილი
- ნუგზარ სურგულაძე
- რევაზ გველესიანი
- ქეთევან მარშავა
- ფრიდონ თოდუა
- ლავრენტი მანაგაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N37/01/02-14-10 **11.10.2011**

სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფ

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერ

ბ-ნ კახაბერ ლორია

ბატონო კახაბერ,

თსუ შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის სპეციფიკიდან და მოცულობიდა გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ სამსახურმა ოპერატიულად და მაღალ დონეზე უზრუნველყოს დებულებით გათვალისწინებული ამოცანების და ფუნქციები შესრულება, მიზანშეწონილად ჩაითვალა ესპერტის საშტატო ერთეული შეიცვალ სამსახურის უფროსის მოადგილის საშტატო ერთეულით. ცვლილებების შედეგა შიდა აუდიტის სამსახურის სტრუქტურა წარმოდგენილი იქნება შემდეგი სახით:

- სამსახურის უფროსი;
- სამსახურის უფროსის მოადგილე;
- აუდიტორები და ექსპერტები;
- მონიტორინგის განყოფილება;
- მონიტორინგის განყოფილების მთავარი და უფროსი სპეციალისტები.

თსუ–ში სტუდენტთა რაოდენობის ცვლილებამ გაზრდის მიმართულებით კიდევ უფრო ინტენსიური და მოცულობითი გახადა საგამოცდო ცენტრის საქმიანობა შუალედური და სემესტრული გამოცდების, მიმდინარე სამუშაოების მაღალ დონეზ ორგანიზების და მართვის გაუმჯობესების მიზნით საჭირო გახდა საგამოცდო ცენტრშ უფროსის მოადგილის საშტატო ერთეულის დამატება. აღნიშნული ცვლილების შემდე საგანოცდო ცენტრის სტრუქტურა შემდეგი სახით ჩამოყალიბდება:

- ცენტრის უფროსი;
- ცენტრის უფროსის მოადგილე;
- ცენტრის მთავარი და უფროსი სპეციალისტები.

გთხოვთ, აღნიშნული ცვლილებების დამტკიცებას წარმომადგენლობითი საბჭო უახლოეს სხდომაზე.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით ჩომახიძე

ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
http://www.tsu.ge; chancellery@tsu.ge

ტელეფონი: +995 32 22350
ფაქსი: +995 32 22350

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №38, დანართი 4.

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის

დებულება

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ (შემდგომში – ,,უნივერსიტეტი“) სტრუქტურული ერთეული - შიდა აუდიტის სამსახური (შემდგომში – ,,სამსახური“) წარმოადგენს უნივერსიტეტის სისტემაში შემავალ ,,სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრულ შიდა აუდიტის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია, ემორჩილება მხოლოდ კანონს და ანგარიშვალდებულია რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ,,სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ” საქართველოს კანონით, მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე დებულებით.

3. სამსახური იცავს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით აღიარებულ ძირითად პრინციპებს და საქმიანობას წარმართავს დამოუკიდებლობის, ობიექტურობის, პროფესიონალიზმის, საჯაროობის, გამჭვირვალობის, კანონიერების, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის პრინციპებით.

4. არავის არ აქვს უფლება ჩაერიოს სამსახურის საქმიანობაში, გარდა კანონმდებლობით და ამ დებულებით პირდაპირ განსაზღვრული შემთხვევებისა.

მუხლი 2. სამსახურის ძირითადი მიზნები და ამოცანები

1. სამსახურის ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

ა) უნივერსიტეტის სისტემის ფუნქციონირების და მართვის პროცედურების ეფექტურობისა და ეფექტიანობის ამაღლების ხელშეწყობა;

ბ) ფინანსური სახსრების, მატერიალური ფასეულობების, სხვა ქონებრივი ღირებულების და არამატერიალური სიკეთეების ხარჯვის, გამოყენების, მართვის და დაცვის კანონიერების, მიზნობრიობის, მიზანშეწონილობის, ეკონომიურობის და შედეგობრიობის, მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის მიერ გამოცემული

ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვის, ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შემოწმება-შესწავლის და ანალიზის მეშვეობით, არსებული რისკ-ფაქტორების გამოვლენა, შეფასება და მათი მართვის მიზნით შესაბამისი სტრატეგიის და რეკომენდაციების შემუშავება, რომელთა შესრულება ხელს შეუწყობს უნივერსიტეტს დასახული მიზნების შესრულებაში;

გ) სამსახურებრივი გადაცდომის ჩადენის ფაქტებთან დაკავშირებით, კანონშესაბამისი რეაგირება და ასეთი გადაცდომების პრევენცია.

თავი II
სამსახურის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები

მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები

1. სამსახურის ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტის სისტემის წინაშე არსებული რისკების დადგენა და შეფასება;

ბ) მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასება, ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის უნივერსიტეტის სისტემის მიზნებთან თანხვედრისა და შესაბამისობის ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება მათი ეფექტურობის ამაღლების მიზნით;

გ) უნივერსიტეტის სისტემაში კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვასა და შესრულებაზე კონტროლის განხორციელება, მოსალოდნელი დარღვევების ან/და ხარვეზების ანალიზი და მათი პრევენცია;

დ) უნივერსიტეტის სისტემაში ასიგნებების განაწილებისა და ხარჯვის კანონიერების, მიზნობრივი განკარგვის, მატერიალური ფასეულობების და სხვა საშუალებათა რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის მონიტორინგი, შეფასება, შესაძლო დარღვევებისა და ხარვეზების რისკების განსაზღვრა;

ე) უნივერსიტეტის სისტემაში თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებზე სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება, შემოწმების შესახებ დასკვნის შედგენა და ხელმძღვანელობისთვის წარდგენა;

ვ) აუდიტორული დასკვნის შედგენა და რექტორისათვის/ადმინისტარციის ხელმძღვანელისათვის წარდგენა.

ზ) უნივერსიტეტის სისტემის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შემოწმება, მოქმედ სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენა;

თ) უნივერსიტეტის სისტემის საქმიანობაში არსებული ან მოსალოდნელი საფრთხეების, ხარვეზების, რისკების შესახებ წერილობითი მოსაზრებების განხილვა;

ი) სამსახურის მიერ შემუშავებული და გაცემული რეკომენდაციების შემდგომი შესრულების მონიტორინგი და კონტროლი;

კ) სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, რექტორის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის აუდიტის მასალების სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნის შესახებ წინადადების მომზადება;

ლ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ,,სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

მ) ლექცია–სემინარების, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების მიმდინარეობაზე მონიტორინგის განხორციელება ფაკულტეტების მიერ დამტკიცებული სასწავლო ცხრილების მიხედვით.

ნ) პერსონალის სამუშაოზე გამოცხადებისა და სამუშაო ადგილიდან გასვლის მონიტორინგის განხორციელება უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების შესაბამისად.

მუხლი 4. სამსახურის უფლება - მოვალეობები

1. სამსახური უფლებამოსილია:

ა) უნივერსიტეტის სისტემაში გასვლითი ან კამერალური აუდიტის ფორმით ჩაატაროს კომპლექსური, თემატური, შესაბამისობის, ოპერაციული, ეფექტიანობის ან ფინანსური აუდიტი;

ბ) სამსახურებრივი შემოწმების მეშვეობით გამოავლინოს უნივერსიტეტის სისტემის თანამშრომელთა მხრიდან მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების და კანონიერი ინტერესების შელახვის, სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტები და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებები. განიხილოს, შეისწავლოს შემოსული წერილები, შეტყობინებები, განცხადებები, საჩივრები (ამ დებულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების ფარგლებში) ან სხვა სახის ინფორმაცია და მოახდინოს შემდგომი რეაგირება;

გ) უნივერსიტეტის სისტემის თანამშრომლის მხრიდან ჩადენილი დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე დააყენოს საკითხი ასეთი თანამშრომლის მიმართ დისციპლინური სახის ღონისძიებების გამოყენების შესახებ და გასცეს რეკომენდაცია მსგავსი დარღვევების თავიდან აცილების უზრუნველყოფის მიზნით;

დ) შიდა აუდიტის, სამსახურებრივი შემოწმების ან კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტის სისტემიდან წერილობითი ან/და ზეპირი ფორმით შეუზღუდავად მოითხოვოს საჭირო დოკუმენტი თუ სხვა სახის ინფორმაცია, გამოიძახოს უნივერსიტეტის სისტემის ნებისმიერი თანამშრომელი და მიიღოს მისგან შესაბამისი ინფორმაცია ან განმარტება;

ე) შიდა აუდიტის ან სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებამდე, ასევე მათი მიმდინარეობის პროცესში, საჭიროების შემთხვევაში დააყენოს საკითხი სპეციალისტის ან ექსპერტის მოწვევის შესახებ;

ვ) მის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებისას ითანამშრომლოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სხვა უწყებებისა და ადმინისტრაციული ორგანოების შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან.

2. სამსახური ვალდებულია:

ა) განუხრელად დაიცვას შიდა აუდიტის მარეგულირებელი კანონმდებლობა, წინამდებარე დებულების მოთხოვნები, საქართველოს მთავრობის მიერ

დამტკიცებული შიდა აუდიტის სტანდარტები და მეთოდოლოგია, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი და სახელმძღვანელო პრინციპები;

ბ) შიდა აუდიტის დაწყებამდე აუდიტის ობიექტს წარუდგინოს აუდიტის განხორციელების შესახებ ადმინისტრაციული აქტი, პროგრამა და უფლება-მოვალეობათა ნუსხა;

გ) შემოწმების შედეგებზე შედგენილი აუდიტორული ან სამსახურებრივი დასკვნა წარუდგინოს რექტორს ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

დ) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული, სახელმწიფო, სამსახურებრივი, კომერციული და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია, ასევე არ გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა თავისი საქმიანობის განხორციელებისას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ე) შიდა აუდიტორული ან სამსახურებრივი შემოწმების დასკვნის შედგენამდე არ გახადოს საჯარო შიდა აუდიტის ან სამსახურებრივი შემოწმების შედეგები.

მუხლი 5. შიდა აუდიტის ჩატარების ვადა

შიდა აუდიტის ჩატარების ვადა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 90 კალენდარულ დღეს. რექტორმა/ადმინისტრაციის უფროსმა ეს ვადა შეიძლება გააგრძელოს ერთხელ, არა უმეტეს 30 კალენდარული დღით.

თავი III
სამსახურის სტრუქტურა, ხელმძღვანელობა და მოსამსახურეები

მუხლი 6. შიდა აუდიტის სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი.
2. სამსახურის მიზნებიდან გამომდინარე მის სტრუქტურაში ასევე შედიან სამსახურის უფროსის მოადგილე, აუდიტორები, ექსპერტები და მონიტორინგის განყოფილება.
3. სამსახურის შემადგენლობაში შემავალი მონიტორინგის განყოფილება შედგება განყოფილების უფროსის, მთავარი და უფროსი სპეციალისტებისაგან.

მუხლი 7. სამსახურის უფროსი

1. სამსახურის უფროსს რექტორთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

2. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა), მის უფლებამოსილებას ასრულებს სამსახურის უფროსის მოადგილე ან სამსახურის უფროსის მიერ წარდგენილი მოსამსახურე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შესაბამისი აქტის საფუძველზე;

3. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია რექტორის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

4. სამსახურის უფროსი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას;

ბ) წარმოადგენს სამსახურს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას;

გ) ზედამხედველობს სამსახურის მოსამსახურეების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;

დ) დადგენილი წესის მიხედვით იხილავს შემოსულ კორესპონდენციას და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას;

ე) წარუდგენს რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს შიდა აუდიტის ან/და სამსახურებრივი შემოწმების პროგრამას დასამტკიცებლად;

ვ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს სამსახურის მიერ მომზადებულ დასკვნებს და რეკომენდაციებს;

ზ) რექტორს ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;

თ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის მოსამსახურეების წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ი) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია სამსახურის წინაშე მდგარი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;

კ) შუამდგომლობს სამსახურის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;

ლ) ამზადებს შიდა აუდიტის საქმიანობის სტრატეგიულ და წლიურ გეგმებს, რომელსაც შესათანხმებლად წარუდგენს რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;

მ) რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს შესათანხმებლად წარუდგენს შიდა აუდიტორული დავალების გეგმას ან/და სამსახურებრივი შემოწმების პროექტს;

ნ) ახორციელებს მონიტორინგს შიდა აუდიტის წლიური გეგმის შესრულებაზე და შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის იმპლემენტაციაზე;

ო) გაწეული საქმიანობის შესახებ წლიურ ანგარიშს წარუდგენს რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ საბჭოს;

პ) უზრუნველყოფს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, მთავრობის გადაწყვეტილებების, რექტორის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს მითითებების დაცვას, აგრეთვე სამსახურის კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესრულების კონტროლს;

ჟ) პასუხისმგებელია სამსახურში მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებაზე;

რ) ასრულებს რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ცალკეულ მითითებებსა და დავალებებს;

ს) ახორციელებს ამ დებულებით, რექტორის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სამართლებრივი აქტებით და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

მუხლი 8. სამსახურის უფროსის მოადგილე

1. სამსახურის უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

2. სამსახურის უფროსის მოადგილე:

ა) ხელს უწყობს სამსახურის უფროსს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელებაში;

ბ) ზედამხედველობს სამსახურის მოხელეთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;

გ) ახდენს ჩატარებული შიდა აუდიტის შედეგების წინასწარ განხილვას;

დ) ასრულებს სამსახურის უფროსის ცალკეულ მითითებებსა და დავალებებს;

ე) ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსის წინაშე.

მუხლი 9. სამსახურის მოსამსახურეები

1. სამსახურის მოსამსახურეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

2. სამსახურის მოსამსახურე შეიძლება იყოს ექსპერტი, აუდიტორი, მონიტორინგის განყოფილების უფროსი, მთავარი სპეციალისტი და უფროსი სპეციალისტი, რომლებიც ასრულებენ სამსახურის უფროსის ცალკეულ მითითებებს, დავალებებს და ანგარიშვალდებული არიან სამსახურის უფროსის წინაშე;

3. სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია დაიცვას წინამდებარე დებულება, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული შიდა აუდიტის სტანდარტები და მეთოდოლოგია, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი და სახელმძღვანელო პრინციპები, ასევე შიდა აუდიტის მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტები.

მუხლი 10. მონიტორინგის განყოფილება

ა) ახორციელებს მონიტორინგს ლექცია–სემინარების, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების მიმდინარეობებზე ფაკულტეტების მიერ დამტკიცებული სასწავლო ცხრილების მიხედვით;

ბ) სასწავლო წლის სემესტრების მიხედვით აწარმოებს ფაკულტეტების მიერ სასწავლო ცხრილებში გაწერილი სააუდიტორიო საათების (მეცადინეობების) შედარებას სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტში ფაკულტეტების მიერ წარდგენილი პროფესორ–მასწავლებელთა სასწავლო დატვირთვის ფორმებთან და სასწავლო–სამუშაო გეგმებთან;

გ) ახორციელებს პერსონალის სამუშაოზე გამოცხადებისა და სამუშაო ადგილიდან გასვლის მონიტორინგს უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების შესაბამისად;

დ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, თანამშრომლისაგან ითხოვს ზეპირ ან წერილობით ინფორმაციას;

ე) წერილობით აფიქსირებს შემოწმების პროცესში გამოვლენილ დარღვევებს;

ვ) მონიტორინგის შედეგებს პერიოდულად, წერილობით ანგარიშის სახით წარადგენს სამსახურის უფროსთან უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების შესაბამისად.

თავი IV

სამსახურის საქმიანობის სხვა საკითხები

მუხლი 11. აცილების საფუძვლები

1. სამსახურის მოსამსახურე არ მონაწილეობს შიდა აუდიტის ან სამსახურებრივი შემოწმების განხორციელების პროცესში, თუ აუდიტს ან სამსახურებრივ შემოწმებას დაქვემდებარებული პირი არის მასთან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ახლო-ნათესაურ დამოკიდებულებაში ან არსებობს სხვა ნებისმიერი გარემოება, რომელიც იძლევა ვარაუდის საფუძველს, სამსახურის მოსამსახურის შემოწმების შედეგებით შესაძლო სუბიექტური დაინტერესების შესახებ.

2. სამსახურის მოსამსახურის ან/და უფროსის მოადგილის აუდიტორული ან სამსახურებრივი შემოწმების პროცესიდან აცილების საკითხს წყვეტს სამსახურის უფროსი, ხოლო სამსახურის უფროსის აცილების საკითხს – რექტორი ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

დადგენილება №109/2011
10 ოქტომბერი, 2011

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის შექმნის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,თ'' და ,,ს'' ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52–ე მუხლის პირველი ნაწილის, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის, 56–ე მუხლის მე–2 ნაწილის და 57–ე მუხლის, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის წესდების მე-6 მუხლის მე–2 და მე-3 პუნქტების, მე–9 მუხლის ,,თ" ქვეპუნქტისა და იურიდიული ფაკულტეტის 10.10.2011. №6908/2205 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი.

2. წინამდებარე დადგენილებით მიღებული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსების უზრუნველყოფა დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

4. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ–გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრს.

5. დადგენილება ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

ალექსანდრე კვიტაშვილი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის

დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის

დებულება

პრეამბულა

დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი (შემდგომში „ცენტრი“) ფუძნდება, ვითარდება და მოქმედებს სსიპ – „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „თსუ“) აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული გადაწყვეტილების საფუძველზე, თსუ-ის, სამხრეთ ტექსასის სამართლის კოლეჯის (შემდგომში „სამართლის კოლეჯი“), კორპორაცია „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტისა“ და მისი პროგრამის „მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი საქართველოში“ სამმართველოს (შემდგომში „ინსტიტუტი“) საერთო ინიციატივასა და მათ შორის ხელმოწერილ ურთიერთთანამშრომლობის მემორნადუმზე დაყრდნობით.

ცენტრის მისიაა საქართველოში განათლების, კვლევისა და მომსახურების მეშვეობით დავის გადაწყვეტის სამართლის ხელშეწყობა და პრაქტიკული, კლინიკური და იურიდიული უნარების დახვეწა კრიტიკული სამართლებრივი აზროვნების განავითარებისათვის.

ცენტრი მიზნად ისახავს ზემოაღნიშნული მისიის განხორციელებას, თსუ-ის წესდების პრინციპების შესაბამისად, იურიდიული საზოგადოების ყველა წევრისათვის, სამართალმცოდნეობის ყველა ქართველი სტუდენტისა და ზოგადად, საზოგადოებისათვის დავის გადაწყვეტის პოლიტიკისა და პროცედურების როგორც თეორიული საფუძვლების, ისე პრაქტიკული გამოყენების სწავლების გზით, მთელს საქართველოში იურიდიული განათლების განვითარებითა და დავის გადაწყვეტის

პოლიტიკისა და პრაქტიკის ხელშეწყობის მეშვეობით საქართველოს საზოგადოების სასარგებლოდ.

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

1. ცენტრი არის თსუ-ის საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული, არაპოლიტიკური ერთეული.

2. ცენტრის ოფიციალური ქართული სახელწოდებაა **სსიპ – „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული – დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი**, ხოლო ინგლისური **LEPL – "Ivane Javakhishvili Tbilisi State University" Educational-Scientific Structural Unit of the University Importance – National Center for ADR**.

3. ცენტრი შეიძლება საქმიანობდეს როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

4. ცენტრი შეიძლება ფლობდეს საბანკო ანგარიშებს (ქვეანგარიშებს).

5. ცენტრის იურიდიული მისამართია: **საქართველო, თბილისი 0179, ილია ჭავჭავაძის გამზირი №1**.

6. ცენტრი უფლებამოსილია, ჰქონდეს საკუთარი ოფიციალური ნიშანი, ემბლემა, დროშა და სხვა საიდენტიფიკაციო ატრიბუტები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. წინამდებარე წესდების დანართი მისი შემადგენელი ნაწილია.

თავი II
ძირითადი მიზნები და ამოცანები

მუხლი 2.

ცენტრის ძირითადი მიზნებია:

1. საქართველოში განათლების, კვლევისა და მომსახურების მეშვეობით დავის გადაწყვეტის სამართლის ხელშეწყობა;

2. პრაქტიკული, კლინიკური და იურიდიული უნარების დახვეწა კრიტიკული სამართლებრივი აზროვნების განვითარებისათვის.

მუხლი 3.

ცენტრი მისი მიზნების მისაღწევად:

1. ახორციელებს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროგრამას სტუდენტებისა და პროფესორებისათვის;

2. ქმნის ცენტრის ვებ-გვერდს და სხვა საშუალებებს ქსელური სოციალური მედიით სარგებლობისათვის;

3. აწყობს საგანმანათლებლო და კვლევით შეხვედრებს, სემინარებს, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებს და ხელს უწყობს აკადემიური და პრაქტიკული დანიშნულების ბეჭდვით გამოცემებს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სამართლის სფეროში;

4. ეხმარება და/ან თანამშრომლობს იურიდიული საზოგადოების წევრებთან და სახელისუფლებო ინსტიტუციებთან, რათა ხელი შეუწყოს საქართველოს კანონმდებლობის განვითარებას დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სფეროში;

5. ხელს უწყობს პროფესორთა და მასწავლებელთა მომზადებასა და უწყვეტ პროფესიულ განათლებას;

6. ასრულებს სხვადასხვა პროექტს იურიდიული განათლების სისტემის განსავითარებლად;

7. ამზადებს იურიდიულ განათლებასთან, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის გამოყენებასა და სწავლებასთან და იურიდიული უნარების გამომუშავებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო პროექტებსა და კვლევით პუბლიკაციებს;

8. თსუ-ის ადმინისტრაციას წარუდგენს ინიციატივებს სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, როგორც საქართველოში, ისე მის გარეთ, თანამშრომლობის შესახებ.

მუხლი 4.

ცენტრი შეიძლება ეწეოდეს სხვა, ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც არ იკრძალება საქართველოს კანონმდებლობით და რომელიც ემსახურება ცენტრის მიზნებს.

თავი III
ცენტრის დაფუძნების ინიციატორები

მუხლი 5.

ცენტრის დაფუძნების ინიციატორები არიან თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის კოლეჯი და ინსტიტუტი.

მუხლი 6.

1. ცენტრის დაფუძნების ინიციატორთაგან ყველა წარმოდგენილია ცენტრის დირექტორთა საბჭოში. ცენტრის დაფუძნების ინიციატორები საკუთარ უფლებამოვალეობებს საბჭოში ასრულებენ მათ უფლებამოსილებათა შესაბამისად. ცენ-

ტრის დაფუძნების ინიციატორები ხმის უფლებით სარგებლობენ დირექტორთა საბჭოს მეშვეობით.

2. სხვა პირები შეიძლება გათანაბრებულ იქნენ ცენტრის დაფუძნების ინიციატორებთან, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ცენტრის მიზნებსა და მისწრაფებებს, დირექტორთა საბჭოს ანონიმური გადაწყვეტილების საფუძველზე.

3. ცენტრის დაფუძნების ინიციატორი და მასთან გათანაბრებული პირი უფლებამოსილია დატოვოს ცენტრი დრექტორთა საბჭოსათვის ამგვარი გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი შეტყობინების გზით.

თავი IV
ცენტრის მართვა

მუხლი 7.

ცენტრის მართვა ხორციელდება დირექტორთა საბჭოს, აღმასრულებელი დირექტორის, აკადემიური დირექტორებისა და მრჩეველთა საბჭოს მეშვეობით.

დირექტორთა საბჭო

მუხლი 8.

1. ცენტრის უმაღლესი მმართველი ორგანო არის დირექტორთა საბჭო, შემდგარი არანაკლებ 3 და არა უმეტეს 7 წევრისაგან. ცენტრის საბჭოში შეიძლება არჩეულ იქნეს ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე. საბჭოს წევრები აირჩევიან თავად საბჭოს მიერ სამი წლის ვადით. საბჭოს წევრს შეუძლია დატოვოს საბჭო სამი წლის ვადის გასვლამდე დირექტორთა საბჭოსათვის ამგვარი გადაწყვეტილების შესახებ წერილობით შეტყობინების გზით.

2. დირექტორთა საბჭოს წევრთა თავდაპირველი სამეული ყალიბდება თითოეული წევრის მიერ საბჭოს ერთი წევრის დასახელებით. თავდაპირველი საბჭოს მოცულობის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით, არსებული საბჭოს მიერ.

მუხლი 9.

1. საბჭო უფლებამოსილია:

ა) აირჩიოს და გადააყენოს საბჭოს წევრები, მათ შორის, ახალი საბჭოს წევრები, გარდა საბჭოს იმ წევრებისა, რომლებიც წარმოადგენენ წევრებს;

ბ) დანიშნოს და გადააყენოს აღმასრულებელი დირექტორი ან აკადემიური დირექტორები, შეასრულოს შრომითი თუ სხვა, შესაბამისი ხელშეკრულება მასთან და ზედამხედველობა გაუწიოს მის საქმიანობას;

გ) დაადგინოს საბჭოს წევრების, აღმასრულებელი დირექტორისა და აკადემიური დირექტორების უფლებამოსილებანი;

დ) აირჩიოს საბჭოს თავმჯდომარე;

ე) შეცვალოს/დაამტკიცოს ცენტრის შიდა წესები წინამდებარე დებულებაზე დაყრდნობით;

ვ) ჩამოაყალიბოს საპატიო მრჩეველთა საბჭო(ები) და დაადგინოს მისი (მათი) შემადგენლობა;

ზ) შეიმუშაოს ცენტრის ძირითადი პოლიტიკა, გეგმები, პროგრამები და პროექტები;

თ) შეიმუშაოს წლიური ბიუჯეტისა და წლიური სტრატეგიის პროექტები შესაბამისი ორგანოს მიერ დასამტკიცებლად;

ი) დაამტკიცოს სამოქმედო გეგმები, პროექტები, ფინანსური და ეკონომიკური გეგმები;

კ) შეიმუშაოს ინიციატივები ცენტრის საქმიანობის დასრულების, მისი რეორგანიზაციისა და/ან ლიკვიდაციის საკითხების შესახებ;

ლ) გადაწყვიტოს ნაციონალურ ცენტრთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საკითხი;

მ) საბჭოს გადაწყვეტილებით გადასცეს მისი უფლებამოსილება აღმასრულებელ დირექტორს ან აკადემიურ დირექტორებს, გარდა იმ საკითხების თაობაზე, რომლებიც ჩამოთვლილია ზემოთ, „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „თ“ და „კ“ პუნქტებში.

2. საბჭოს კრება მოიწვევა საბჭოს თავმჯდომარის მიერ საჭიროებისდა მიხედვით, მაგრამ არანაკლებ ერთხელ წელიწადში.

3. თავდაპირველი საბჭოს შემადგენლობა წარმოდგენილია წინამდებარე წესდების მეორე დანართში.

4. თავდაპირველი სამწევრიანი საბჭოს ყველა გადაწყვეტილება მიიღება სრული თანხმობით.

5. საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.

6. გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად ანდა, ასეთი თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში, საბჭოს დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით.

7. საბჭოს სხდომა შეიძლება გაიმართოს როგორც პირისპირ შეხვედრის გზით, ისე დისტანციური კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალების გამოყენებით (ე. ი. საბჭოს წევრები სხდომაზე დამსწრეებად შეიძლება მიიჩნეოდნენ იმ შემთხვევაშიც, თუ სხდომაზე ფიზიკურად არ იმყოფებიან).

8. საბჭოს თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. სხდომის ოქმი შედგება და ხელმოწერილია საბჭოს თავმჯდომარის მიერ ან, მისი არყოფნის შემთხვევაში, საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის მიერ.

9. საბჭოს სხდომის მოწვევა საჭირო არ არის, თუ საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი საკითხზე წერილობით აღწევს თანხმობას. ამ შემთხვევაში, საბჭოს თავმჯდომარე (ან, მისი არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომა-

რის მოვალეობის შემსრულებელი) ამზადებს და ხელს აწერს საბჭოს გადაწყვეტილებას. ასეთი გზით მიღებულ გადაწყვეტილებას აქვს სრული იურიდიული ძალა.

აღმასრულებელი დირექტორი და აკადემიური დირექტორები

მუხლი 10.

1. ცენტრის აღმასრულებელ დირექტორს აკისრია ძირითადი პასუხისმგებლობა ცენტრის ყოველდღიური საქმიანობისათვის, ხოლო აკადემიური დირექტორები იზიარებენ პასუხისმგებლობას ცენტრის აკადემიური საქმიანობისათვის. აღმასრულებელ დირექტორი და აკადემიური დირექტორები სარგებლობენ საზიარო წარმომადგენობითი უფლებამოსილებით, ცენტრის სახელით, რაც დამატებით განისაზღვრება დირექტორთა საბჭოს მიერ.

2. ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი და აკადემიური დირექტორები ინიშნებიან დირექტორთა საბჭოს მიერ განუსაზღვრელი ვადით. ცენტრის აღმასრულებელი დირექტორისა თუ აკადემიური დირექტორების გათავისუფლება შეუძლია საბჭოს ნებისმიერ დროს საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე.

3. აღმასრულებელი დირექტორი:

ა) უძღვება ცენტრის ყოველდღიურ საქმიანობას;

ბ) თსუ-ის ადმინისტრაციის თანხმობით წარმოადგენს ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობაში, როგორც ეს განისაზღვრება დირექტორთა საბჭოს მიერ;

გ) თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დასამტკიცებლად წარუდგენს ცენტრის საშტატო ნუსხის პროექტსა და ცენტრის მოსამსახურეთა კანდიდატურებს;

დ) უზრუნველყოფს დირექტორთა საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულებას;

ე) თსუ-ის ადმინსტრაციას მიმართავს ინიციატივებით გარიგებათა დადების, რწმუნებულებათა გადაცემის, ეროვნული და უცხოური ფულის ერთეულით საბანკო ანგარიშების (ქვეანგარიშების) გახსნისა და დახურვის შესახებ და ხელს აწერს ფინანსურ და სხვა დოკუმენტებს;

ვ) ასრულებს დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებებს;

ზ) თსუ-ის ადმინისტრაციის ნებართვით მართავს ცენტრის ფინანსურ და სხვა მატერიალურ რესურსებს და პასუხისმგებელია მათ ხარჯვაზე, ცენტრის მიზნების შესაბამისად;

თ) მოახსენებს საბჭოს შესრულებულ სამუშაოთა შესახებ საბჭოს ან მისი წევრის მოთხოვნის შემთხვევაში;

ი) ახორციელებს სხვა ფუნქციებს დირექტორთა საბჭოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე.

4. აკადემიური დირექტორები:

ა) პასუხისმგებელნი არიან ცენტრის აკადემიური საქიანობის განხორციელებისათვის;

ბ) მეთვალყურეობენ ცენტრის სხვადასხვა აკადემიურ პროგრამასა და პროექტს;

გ) გეგმავენ ყველა სახის აკადემიურ ღონისძიებას, მათ შორის, მაგალითად, სემინარებს, მოსამზადებელ სწავლებებს, გაცვლით პროგრამებს, საზაფხულო სკოლებს;

დ) ზედამხედველობენ იურიდიული კლინიკის საქმიანობას, განსახორციელებელს ცენტრის დახმარებითა და მის ფარგლებში;

ე) თსუ-ის ადმინისტრაციის თანხმობით წარმოადგენენ ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობაში, როგორც ეს განისაზღვრება დირექტორთა საბჭოს მიერ;

ვ) უზრუნველყოფენ დირექტორთა საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულებას;

ზ) მოახსენებენ საბჭოს შესრულებულ სამუშაოთა შესახებ საბჭოს ან მისი წევრის მოთხოვნის შემთხვევაში;

თ) ასრულებენ საბჭოს გადაწყვეტილებებს და ახორციელებენ სხვა ფუნქციებს დირექტორთა საბჭოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე.

თავი V
მრჩეველთა საბჭო

მუხლი 11.

ცენტრი ქმნის მრჩეველთა საბჭოს.

1. მრჩეველთა საბჭო არის ცენტრის საკონსულტაციო ორგანო და იგი იქმნება დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით.

2. დირექტორთა საბჭო იწვევს მრჩეველთა საბჭოს წევრებს ერთხმად ან ასეთი თანხმობის არარსებობის შემთხვევაში, ხმათა უბრალო უმრავლესობით;

3. ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე თუ იურიდიული პირი შეიძლება არჩეულ იქნეს მრჩეველთა საჭოში.

4. მრჩეველთა საბჭო მხოლოდ დირექტორთა საბჭოსათვის ამზადებს რეკომენდაციებს, რაც უკავშირდება განვითარებას ცენტრის, მისი აკადემიური საქმიანობის ან ნებისმიერი საკითხისა, რომელიც პირდაპირ და/ან არაპირდაპირ ემსახურება ცენტრის ლეგიტიმურ მიზნებს.

5. მრჩეველთა საბჭოს წევრთა რაოდენობა შეზღუდული არ არის.

თავი VI
ცენტრის ფულადი სახსრების წყაროები

მუხლი 12.

1. ცენტრის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს კანონიერი გზით მიღებული ნებისმიერი ფულადი სახსარი, მათ შორის:

ა) დამფუძნებლისა და დაფუძნების ინიციატორთა შენატანები;

ბ) შეწირულობანი და გრანტები;

გ) შემოსავალი დამხმარე საქმიანობიდან;

დ) სხვა სახსრები, რომლებიც არ იკრძალება კანონით.

ცენტრი არ არის შექმნილი მოგების მისაღებად, არ აქვს მოგების მიღების მიზანი და არ გასცემს დივიდენდებსა თუ სხვა მსგავს წილებს. ამ წესდების არც ერთი მხარე მიზნად არ ისახავს და არ ელის მოგების მიღებას წინამდებარე შეთანხმებაში შემოსვლის ან მისი შესრულების ძალით. ცენტრის მიერ მიღებული ნებისმიერ სახსარი გამოიყენება მისი ამუამინდელი ან სამომავლო პროგრამებისათვის.

2. ცენტრის დამხმარე-დამატებითი სახის საქმიანობის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსავალი რჩება ცენტრს და გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ ცენტრის მიზნების მისაღწევად.

3. შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და მას შორის არსებული თანამშრომლობის ხელშეკრულების, ასევე, ინსტიტუტისა და თსუ-ის მოლაპარაკებისა და შეთანხმების შესაბამისად, ინსტიტუტი გამოყოფს ცენტრის სამუშაოებისა და საქმიანობის ხელშეწყობისათვის საჭირო ფინანსურ და/ან ტექნიკურ დახმარებას.

4. ცენტრის ხანგრძლივად შენარჩუნებისათვის თსუ გამოყოფს ფინანსურ სახსრებს თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

თავი VII
რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუხლი 13.

ცენტრის რეორგანიზაცია და/ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი VII
გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 14.

ცენტრის დებულება ძალაში შედის თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების დროიდან.

დანართი 1

ცენტრის თავდაპირველი საბჭოს წევრები

ცენტრის რეგისტრაციის დროისათვის მისი საბჭოს წევრები არიან:

1. ირაკლი ბურდული, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის წარმომადგენელი (საბჭოს თავმჯდომარე)
2. ქეთრინ გრინი ბარნეთი, სამართლის კოლეჯის წარმომადგენელი
3. მაიკლ დიდრინგი, ინსტიტუტის წარმომადგენელი